წლიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 17 მარიამობისთვე 1916 წ. | № 182

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible]კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა[illegible]: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წლიწადი მეორე. **საქართველო** წლიწადი მეორე.

ფასი ზომით ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პროვინციებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)
ოთხშაბათს, 17 მარიამობისთვეს
ქართული წარმოდგენა და სამხედრო ორკესტრი.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1—217—1)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ **„კაფე პარიზში“ შეიძლება.**
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები, ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით **ხიდ. ხ. გიგიბერია.**

ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
მელანი ასლის ასაღებადაც („კოპიროვკისთვის“) კარგია
დამამზადე მელანი და ვუიდი შემდეგს ფასებში
ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., ½ გირვანქა—50 კაპ. ¼ გირვანქა—30 კაპ.
ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.
გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა „მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

განცხადება
გამგეობა კახეთის მეღვინეობის დაწესებულებათა კავშირისა იწვევს ინსტრუქტორ-რევიზორს.
ჯამაგირი წლიურად 1800 მანეთი, სამგზავრო ბილეთი მეორე კლასისა, დამატებით დღიურად 5 მანეთი.
თხოვნები უნდა გამოიგზავნ. კავშირის გამგეობის სახელობაზედ ქ. თელავში
(5-214-2)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰაგაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ვამზადებთ პიროგით
პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-23)

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**
კორპუსის ბანაკში

მადლობას ვუცხადებ იმ პირებს, რომელთაც ჩემი უდროვოდ გარდაცვლილ ასულის
თამარის
გამო პირადად თუ დეპეშით ჩემი მწუხარება გაიზიარეს.
305 დ. გაბრუაშვილი.

თბილისი, 17 მარიამობისთვე.

ერის სიმრავლე

ორი მილიონის ნაცვლად დღეს ათი მილიონი რომ ვიყოთ, სხვა წონა და სიმძიმე გვექნებოდა მტერ-მოყვარის თვალში. სხვანაირიც იქნებოდა ჩვენი ეროვნული ძლიერების თვითშეგნება და თავმოყვარეობა. ქვეყნის საერთო წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, ბევრად დაკავშირებულია მცხოვრებთა რიცხვის სიმრავლესთან. ცნობილია, რომ ინტენსიური კულტურა და საქმიანობის გაცხოველება ხალხის გამრავლებასთან ერთად იწყება. სიცოცხლე ნელი და და მოდუნებულია იმ ხალხში, სადაც ერთი ვერსის სიგრძე-სიგანეზე მხოლოდ ხუთიოდე კომლი მოსახლეობს; პირიქით, სადაც ხალხის მოსახლეობის სისქე მაღალია, სადაც იმავე ვერსის სიგრძე-სიგანეზე ორასი სამასი სულია მოთავსებული, იქ სიცოცხლის მაჯისცემა უფრო ძლიერია, რადგან მეტია ზრუნვა, მეტია მოქმედება, მეტია კვლევა-ძიება; ახალი გზებისა და არსებობის ახალ-ახალ წყაროების გამოძებნა უფრო იპყრობს ადამიანის გონებას. ასეთ ხალხში საერთოდ მეტია შემოქმედება. თანაბარ პირობებში ერების პოლიტიკური მნიშვნელობა და სამხედრო ღირებულება პირდაპირ დამოკიდებულია თითეულის სიმრავლეზე. საფრანგეთის თანდათან ჩამოქვეითების ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო რომ მისი გამრავლების ტემპი სხვა მეზობელ ერების გამრავლების ტემპს დიდათ ჩამორჩა. არამც თუ ეს, უკანასკნელ წლებში, ვიდრე ომი დაიწყებოდა, ფრანგის ხალხის რიცხვი კიდეც კლებულობდა. იყო წლები, როდესაც მიცვალებულთა რიცხვი დაბადებულთა რიცხვს აღემატებოდა. დღეს 38 მილიონის მაგიერ, რომ ფრანგის ხალხი 75 მილიონი იყოს, როგორც გერმანელებია, მსოფლიო ომი აქამდის სხვა მიმართულებას მიიღებდა.

რიცხვი და სიმრავლე თუ ვისთვისმე საჭიროა, ეს სწორედ ქართველებისთვის. ამიტომაც ყოველი ისეთი მოვლენა, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი გამრავლების შეზღუდვისაკენ, უნდა დაგმობილი და შერცხვენილი იქმნას ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მიერ. ჩვენ არა გვაქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომ ხალხის მომრავლების წაქეზება ვაწარმოვოთ, სათანადო კანონების გამოცემით და ეკონომიური დახმარების აღმოჩენით იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ბევრი შვილი გაუჩენია. ჩვენ არ გვაქვს საშუალება იძულებით ღონისძიებას მივმართოთ, რომ ის მამაკაცები, რომელნიც ოჯახის ტვირთს აღარ ეტრფიან და ცხოვრების ბუნებრივ წესს გაურბიან, შესაფერ ბეგარას მაინც იხდიდენ, თავისუფლად დროს ტარებისათვის, რიცხვმრავალ და ხელმოკლე ოჯახების სასარგებლოდ. ასეთი ღონისძიება სახელმწიფო ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის. ეს შეუძლიან საფრანგეთს და არა საქართველოს. რაც შეეხება რუსეთს, მას ხალხი არ ესაჭიროება, თავზე საყრელიც ჰყავს. ხოლო საქართველოს სპეციფიურ საჭიროებას იგი არ დაგიდევსთ. ჩვენ დაგვრჩენია, მხოლოდ სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდა ამ იდეის განსამტკიცებლად. უნდა ღონე ვიღონოთ, რომ გზა შეუკრათ ფიზიკურ დეგენერატების პატალოგიურ ზნეობას, რომელიც ევროპის ზოგიერთ დაავადებული ქვეყნიდან ჩვენსკენ მოიწევა. ოჯახის სიყვარული და სიმტკიცე, რომელიც ერთად-ერთი საწინდარია საზოგადოებრივი აღორძინების, მთელის თავის დიდებით უნდა დაცულ იქმნას, მუცლის მოშლა და შვილის მოწყვეტა, რომელმაც ასე მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში, საერთო განკიცხვისა და ზიზღის საგნად უნდა გადაიქცეს. ეს მოვლენა ძირს უთხრის ხალხის არსებობას. მცირდება მომავალი თაობა, ისჯება თვით დედა-ქალიც, რომელიც ბუნების წინააღმდეგ ჩადის ამ საშინელ უკანონობას. ამ ოპერაციას ვერ უძლებს და ხშირად წუთი სოფელს ესალმება ჯან-ღონით სავსე ქალი. ოჯახს ეცლება ბურჯი, ხოლო საზოგადოებას მომქმედი და გამრჯელი წევრი აკლდება. უმეტეს შემთხვევაში კი დედა-ქალი სერიოზულად ავადმყოფდება და მთელ თავის სიცოცხლეში თან დააქვს ჩადენილი დანაშაულის ღირსეული სასჯელი. ეს მოვლენა ნამეტურ ჩვენს მთებშია გახშირებული. გვეკარგება ახალი მომავალი საქართველო და საზოგადოება ამ მოვლენის წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებას არ ეძებს. ამ მოვლენას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. უმთავრესად თვით ქალებმა უნდა მიჰყონ ხელი საღი აზრების გავრცელებით, სიტყვიერი პროპაგანდით თუ პატარ-პატარა წიგნაკებისა და ბროშურების სახით. თვით ქალებმა უნდა ააცდინონ თავიანთ უგუნურ წევრებს, ვინც ანაწერას აუტანია, არ ჩაიდინონ ღვთისა და კაცის კანონის საწინააღმდეგო საქციელი, რომელიც ჯერ მათ პირადად სიცოცხლეს უკვეთავს და მერე მთელ ერს აოხრებს, მომავალი თაობის საშოშივე ჩახრჩობის საშუალებით! ბრძოლა ამ მომაკვდინებელ ცოდოს! გვახსოვდეს, რომ საღი და რიცხვ-მრავალი ოჯახი ერის ძლიერებისა და აღდგომის საძირკველია.

ეს ჭეშმარიტება ქართველობას ძველთაგანვე შეგნებული ჰქონდა და ამიტომაც იყო, რომ ზედ ახალწელიწადს დილას მეკვლის პირველი მოლოცვა და ნატვრა იყო: „ისე გამრავლდეს ერიო, როგორც ეს ფეტვი ბევრიო“.

—

ბრძოლის ასპარეზის გაფართოება.

გუშინწინდელი დღე, 15 მარიამობისთვე, ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად უნდა ჩაითვალოს მსოფლიო ომის ისტორიაში. ამ დღეს იტალიამ ომი გამოუცხადა გერმანიას, რუმინიამ—ავსტრო-ჰუნგრეთს, ხოლო გერმანიამ—რუმინიას. ამ გვარად საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც ისედაც რთული და დახლართული იყო, კიდევ უფრო დაიხლართა: მებრძოლ სახელმწიფოებს კიდევ ერთი წევრი მოემატა, ევროპის ბრძოლის ასპარეზს რამოდენიმე ახალი ფრონტი. რაც შეეხება იტალიას მისი დღევანდელი ყოფაქცევა ლოგიური შედეგია წარსული მოქმედებისა. იტალია ომში ჩაერია 1915 წლის გაზაფხულზე, რათა ავსტრო-ჰუნგრეთისვის ეგრეთ წოდებული „გამოუსყიდავი იტალია“ წაერთმია. მან ვიწროდ შემოფარგლა ბრძოლის ასპარეზი. მიტომ, რომ გამოუსყიდავი იტალია ანუ ტრენტინო და ტრიესტი ავსტრო-ჰუნგრეთს ეკუთვნის და ერთი შეხედვით იტალიას თითქო არაფერი აქვს გასაყოფელი არც გერმანიასთან, არც ოსმალეთთან. მაგრამ სინამდვილეში ტრიესტი ერთი იმ ბჭეთაგანია, რომელში შეჭრას ლამობს მებრძოლი პანგერმანიზმი. ეს ქალაქი უმნიშვნელოვანესი ნავთსადგურია ადრიატიკის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირას და მისი ხელიდან გაშვება იმას ნიშნავს, რომ გერმანია საბოლოოდ უნდა გამოეთხოვოს ხმელთა შუა ზღვის თბილ ტალღებზე ოცნებას. ტრიესტი გასაღებია არა მარტო ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილისა, არამედ მცირე აზიისა და ეგვიპტისა, რამდენიმედ თვით ინდოეთისა და შორეული აღმოსავლეთისაც და ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ გერმანია, ავსტრო-ჰუნგრეთზე ნაკლებად არ ეწინააღმდეგებოდა იტალიას „გამოუსყიდავი პროვინციების“ საკითხში. ომის დაწყებამდე გერმანიის უმაღლეს წრეებში დაიბადა გრანდიოზული აზრი მდინარე ელბისა და ტრიესტის შეერთებისა უზარმაზარი არხის შემწეობით. ეს პროექტი, რომ განხორციელებულიყო ბალტიის ზღვა ადრიატიულ ზღვას შეუკავშირდებოდა და გერმანია თავს დააჯდებოდა შუაგულ ევროპას, როგორც უნაგირს. ეს გარემოება შეაჩერებდა არა მარტო იტალიის მისწრაფებას ეროვნული გაერთიანებისკენ, არამედ მის საახალშენო პლანებსაც. უეჭველია, რომ იტალიას კარგად ესმოდა ეს გარემოება: მისი გამოსვლა გერმანიის წინააღმდეგ ამ შეგნების პრაქტიკული ნაყოფია.

უფრო მნიშვნელოვანია რუმინიის გამოსვლა ცენტრალური სახელმწიფოების წინააღმდეგ. როგორც ამბობენ, ამ სახელმწიფოს ამ თავითვე 600,000 ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლიან ბრძოლის ასპარეზზე. ეს მეტის-მეტად საგრძნობი ძალაა განსაკუთრებით დღეს, როცა მოპირდაპირეები დაიქანცნენ და პირველ-ხარისხოვანნი ჯარები დაჰკარგეს ორი წლის ომის განმავლობაში. ადვილი შესაძლებელია, რომ რუმინიის გამოსვლა სასწორს გადახრის ოთხთა შეთანხმებისაკენ და დააჩქარებს ჰაბსურგთა მონარქიის დაშლას. როგორც მკითხველმა უწყის ავსტრო-უნგრეთის აღმოსავლეთი პროვინცია, ეგრედ წოდებული ტრანსილვანია, რუმინელებითაა დასახლებული. ოფიციალ ნოტაში, რომელიც ბუქარეშტის მთავრობამ ავსტრო-უნგრეთის ელჩს გადასცა, ომის მიზეზად ის გარემოებაა მოყვანილი, რომ უნგრელები სისტემატიურად სდევნიან და ავიწროებენ ტრანსილვალელ რუმინელებს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლო იყოს. მაგრამ საყურადღებოა, რომ უკანასკნელ დრომდე ბუქურეშტში თავს იყრუებდნენ და იმუნჯებდნენ როცა საზღვარ-გარეთელი თანამემამულეების ტანჯვაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. პირიქით, რუმინია გერმანიისა და ავსტრო-ვენგრიის მოკავშირედ ითვლებოდა 1883 წლიდან და ამ სახელმწიფოებთან მეგობრული განწყობილება ჰქონდა მსოფლიო ომის დაწყებისას. ბულგარეთის გამოსვლამ შეარყია რუმინეთის გერმანოფილური პოლიტიკა. როგორც ცნობილია, რუმინია 1913 წელს ბალკანეთის ომში ბულგარეთის წინააღმდეგ ჩაერია: ბუქარეშტის ზავის მიხედვით მან მიიღო დობრუჯის ნაწილი, რომელიც იქამდის ბულგარეთს ეკუთვნოდა. ამგვარად განმტკიცდა ბულგარეთ-რუმინეთის ანტაგონიზმი. უკანასკნელი წლის ამბებში, სერბიის დარბევამ და განაწილებამ საგრძნობლად გააძლიერა ბულგარეთის პოზიცია ბალკანეთში. მოსალოდნელი იყო, რომ ეს სახელმწიფო პირველი მოხერხეული შემთხვევით ისარგებლებდა და ანგარიშებს გაუსწორებდა რუმინიას, რომელმაც მას სამიოდე წლის წინად ზურგში ჩასცა ხანჯალი. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად რუმინია იძულებულია ეხლავე შეაჩეროს ბულგარეთის გაძლიერება, ე. ი. მისი მოწინაღმდეგეების კავშირს მიემხროს.

უეჭველია, რომ რუმინია რუსეთისაგან სანაზღაუროს მიიღებს აქტიური მოქმედებისთვის. ბესარაბიის სამხრეთი ნაწილიც რუმინელებითაა დასახლებული და ამ ორმოცი წლის წინად ეს პროვინცია რუმინიას ეკუთვნოდა. ბესარაბია რუსეთმა ბერლინის კონგრესზე მიიღო 1878 წელს, იმ სამსახურის მიუხედავად, რომელიც მაშინ რუმინიამ გაუწია რუსეთის ლაშქარს ოსმალეთთან ბრძოლაში. რუსეთის „უმადურობამ“ მაშინ ძლიერ გააბრაზა რუმინია და ავსტრო-უნგრეთისკენ წაუბიძგა მას. საფიქრებელია, რომ რუსეთ-რმინიის დიპლომატიურ მოლაპარაკებას საფუძვლად ბესარაბიის საკითხი ედო და ამ კუთხის დათმობან ბოლო მოუღო ბუქურეშტის მთავრობის ხანგრძლივ ყოყმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გუშინდელმა დღემ მეტად საყურადღებო ცნობა მოგვაწოდა. რუმინეთმა კარგა ყოყმანის შემდეგ ავსტრიას ომი გამოუცხადა. ეს მოხდა იმის შემდეგ, როდესაც ბულგარეთის ჯარი მოკავშირეებს შეესია და მთავარი ოპერაცია დაიწყო მათ წინააღმდეგ. დეპეშა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს რუმინეთი ბულგარელების წინააღმდეგ, შეესევა მათაც თუ ისევე ნეიტრალობას განაგრძობს. მხოლოდ ავსტრიის წინააღმდეგ გალაშქრება ახლო მომავალში მაგრე რიგად საგრძნობელ შედეგს ვერ მოიტანს, რადგან მალე შემოდგომა დაიწყება და ვერც რუსეთის ჯარი და ვერც რუმინეთისა ვერ აწარმოებენ სტრატეგიულ ოპერაციებს, რადგან კარპატები მეტად შეუპოვარი მიდამოებია მოპირდაპირისათვის. ჩვენ შევეცდებით დაწვრილებით შევეხოთ რუმინეთის გამოსვლას შემდეგში. ახლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ რუმინეთის გამოსვლას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა.

ოსმალეთის ასპარეზზე რუსები წინსვლას განაგრძობენ.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ბარანოვიჩის მიდამოებში მოქმედება გაცხოველდა. ზოგიერთ ალაგას გერმანელები შეტევას განაგრძობენ. რუმინეთის გამოსვლის შემდეგ იგინი იძულებული გახდებიან რუსეთის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყონ. რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე ამას მალე შევიტყობთ.

X.

ახალი ომის გამოცხადება

ოფიციალი ცნობით

იტალიამ ომი გამოუცხადა გერმანეთს. რუმინეთმა—ავსტრია-ჰუნგრეთს. ხოლო გერმანეთმა—რუმინეთს.

რუმინეთის ნოტა

ბუქარესტი, 15 მარიამობისთვე. სამეფო საბჭოს გათავების უმალ ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩს ბუქარესტში, გრაფ ჩერნინს შემდეგი ნოტა ჩააბარეს:

„გერმანეთსა, ავსტრია-ჰუნგრეთსა და იტალიას შორის დადებულ კავშირს მოგერიებითი და თავდაცემითი ხასიათი ჰქონდა, როგორც ამას ხსენებულ სახელმწიფოთა მთავრობები ირწმუნებოდენ. კავშირის უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ მოკავშირე სახელმწიფონი მტერთა შემოსევისაგან დაეხსნა და მტკიცე ეყო ის დებულება, რომელიც შეჰქმნეს წინანდელმა ტრაქტატებმა. რუმინეთი მიემხრო ამ კავშირს, ვინაიდგან სურდა თავისი პოლიტიკაც შეეფარდებინა ამ მშვიდობის ზრახვებთან. რუმინეთი მტკიცედ ემსახურებოდა ბალკანეთში მშვიდობიანობის დაცვის საქმეს. რაკი ერთხელ გადასწყვიტა დუნაის რაიონში წესიერებისა და სწორ-წონაობის ფაქტორად დარჩენილიყო, რუმინეთი თავის ძალღონეს შინაგან გამაგრებას და აღმაშენებლობით მუშაობას ახმარებდა.

უკანასკნელმა ომებმა დაარღვიეს „სტატუს-კვო“ და რუმინეთსაც ახალი ტაქტიკა მიაღებინეს. რუმინეთის ჩარევას შედეგად მშვიდობიანობის ჩამოგდება და სწორ-წონაობის აღდგენა მოჰყვა. თავის თავის სასარგებლოდ რუმინეთი დაკმაყოფილდა საზღვრის გამოსწორებას, რაიც მას გარეშეთა თავდასხმისაგან რამოდენიმეთ უზრუნველჰყოფდა და ანელებდა იმ უსამართლობას, რომელიც რუმინეთს მიაყენეს ბერლინის კონგრესზე. მაგრამ რუმინეთმა, სამწუხაროდ მალე დაინახა, რომ ვენის კაბინეტი მას ისე არ ექცეოდა, როგორც მოსალოდნელი იყო. ეხლანდელი ომის დაწყებისას, რუმინეთს, ისე როგორც იტალიასაც, მონაწილეობა არ მიუღია ავსტრია-უნგრეთის მის ომის გამოცხადებაში, რის შესახებაც რუმინეთი ვენის კაბინეტს არც კი გაუფრთხილებია.

1915 წლის გაზაფხულზე იტალიამ ავსტრია-უნგრეთს ომი გამოუცხადა და ამით შესწყდა სამთა კავშირის არსებობაც და ამასთან ერთად მოისპო მიზეზებიც, რომლის ძალით რუმინეთი შეუერთდა ამ პოლიტიკურ სისტემას. და ნაცვლად იმ სახელმწიფოთა შეჯგუფებისა, რომელნიც ყოველის ღონით მშვიდობიანობის დაცვას ემსახურებოდენ და ცდილობდნენ არ დარღვეულიყო არც უკვე დამყარებული მდგომარეობა და ის უფლება, რომელიც ტრაქტატებზე იყო დაფუძნებული,—ნაცვლად ამ სახელმწიფოთა შეჯგუფებისა, გაჩნდენ ახალნი სახელმწიფონი, რომელთაც იარაღი სწორედ იმ მიზნით აისხეს, რომ ძირითადი ცვლილება გამოეწვიათ იმ შეთანხმებაში, რომელიც საძირკვლად ჰქონდა დიდებულ—მათსავე ხელშეკრულებას. ამ ღრმა ცვლილებაში რუმინეთი დაარწმუნეს, რომ იგი ვერ მიაღწევდა იმ მიზანს, რომელიც მან დაისახა სამთა კავშირში შესვლის დროს; რუმინეთისთვის აშკარა შეიქმნა, რომ მას სულ სხვა გზით უნდა წარემართა თვისი მისწრაფება და ლტოლვილება, რადგან ავსტრია ჰუნგრეთის მიერ დაწყებული საქმე მეტად სახიფათო ხასიათს ღებულობდა რუმინეთის არსებითი ინტერესისა და მისი უაღრესად კანონიერ ეროვნულ ზრახვათათვის. რუმინეთის და ავსტრია-ჰუნგრეთის ურთიერთობაში მომხდარ ღრმა ცვლილების გამო, რუმინეთმა თვით განათავისუფლა ყოველგვარ ვალდებულებისაგან ავსტრია-ჰუნგრეთისადმი. რუმინეთმა იმიტომ განიზიარა ნეიტრალობა დღევანდელს ომში, რომელიც რუმინეთის დაუკითხავად და მის ინტერესების წინააღმდეგ მოხდა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ მას აზრად ჰქონდა სამფლობელოს გაფართოვება და სხვისი მიწა-წყლის შემოერთება. ავსტრია-ჰუნგრეთის მონარქიის ეს დაპირება ნამდვილად არ გამართლდა. ხოლო დღეს ისეთი ფაქტიური ვითარება შეიქმნა, რომელიც შეიძლება სულ ადვილად გახდეს დიდ პოლიტიკურ და ტერიტორიულ ცვლილებათა სათავედ და რუმინეთის მომავალს გამოუსწორებელი ხიფათი შეამთხვიოს. ამგვარად უნაყოფო შეიქმნა მშვიდობიანობის გულისათვის ზრუნვა და სამსახური, რომელსაც რუმინეთი, სამთა კავშირის აზრის ერთგული დამცველი, მტკიცედ ადგა და იცავდა, ფუჭი და და უნაყოფო შეიქმნა სწორედ იმ სახელმწიფოთა მეოხებით, რომელთაც მოვალეობად დაისახეს მშვიდობიანობის დაცვა. როდესაც რუმინეთი 1883 წელს ცენტრალ სახელმწიფოთა ჯგუფს მიემხრო, იგი არ ივიწყებდა იმ სისხლის ნათესაობას, რომელიც რუმინეთის მცხოვრებთ ავსტრია-ჰუნგრეთის ქვეშევრდომ რუმინელებთან აერთებდა, პირიქით, რუმინეთი ფიქრობდა, რომ მისსა და ავსტრია-ჰუნგრეთ შორის დამყარებული მეგობრული განწყობილება უტყუარი საწინდარი იქნებოდა ავსტრია-ჰუნგრეთის რუმინელების მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

მართლაც, შეუძლებელი იყო, რომ გერმანეთსა და იტალიასა, რომელნიც თავიანთი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ეროვნულ პრინციპზე განაახლეს, არ ეცნოთ კანონიერობა იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებული იყო საკუთარი არსებობა. რაც შეეხება ავსტრია-ჰუნგრეთს, მან სავსებით ისარგებლა როგორც თავის შინაურ ცხოვრებაში, ისე ჩვენს საერთო საზღვრების გასწვრივაც, იმ მეგობრული ურთიერთობის წყალობით, რომელიც ჩვენს შორის დამყარდა. ამიტომაც ავსტრიელების მუქარა ამ ურთიერთობის დარღვევის შესახებ ყოველთვის დიდ უკმაყოფილებას და დრტვინვას იწვევდა რუმინელთა შორის. ამგვარად არც ამ მხრივ გამართლდა ის იმედი, რომელსაც სამ კავშირზე ვამყარებდით. მთელი 20 წლის განმავლობაში, არ ღირსებიათ არც ერთი ისეთი რეფორმა, რომელიც ავსტრია-ჰუნგრეთის რუმინელებს რაიმე კმაყოფილებას აგრძნობინებდა მათ, არამედ, პირიქით, მათ ეპყრობოდენ როგორც მდაბალი რასის წარმომადგენლებს, რომელთა შევიწროვება-აკლების უფლება მინიჭებული ჰქონდა უცხო ტომისას. დიდის ვაი-ვაგლახით და მსხვერპლის საფასურით ანელებდა რუმინეთის მთავრობა იმ მტრობის ატმოსფერას, რომელსაც ჰქმნიდა ყველა ის უსამართლობა, რომელსაც რუმინელები განიცდიდენ ავსტრია-ჰუნგრეთის მონობისაგან.

როდესაც ეხლანდელი ომი დაიწყო, შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ავსტრია-ჰუნფრეთი, თუნდაც უკანასკნელ წუთებში, შეიგნებდა უაღრეს საჭიროებას შეეწყვიტა უსამართლობის პოლიტიკა, რომელმაც საფრთხეში ჩააგდო არა მარტო ჩვენი მეგობრული ურთიერთობა, არამედ ის ნორმალური პირობებიც, რომელიც უნდა არსებობდეს მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ორი წლის ომმა, რომლის განმავლობაში რუმინეთი ნეიტრალობას იცავდა, დაამტკიცა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთს, რომელიც წინააღმდეგია ქვეშევრდომთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ რეფორმების შემოღებისა, არც იმის ძალა შესწევს, რომ დაიცვას თვისი ქვეშევრდომები სხვათა შემოსევისაგან. ამავე ომმა, რომელშიაც ჩაება მთელი ევროპა, გადასაწყვეტად წამოაყენა სერიოზული საკითხები, რომელიც ეხება თითეული სახელმწიფოს ეროვნულ ვითარებასა და არსებობას. რუმინეთი მოწადინებულია ამ კონფლიქტის დასასრული დააჩქაროს და რადგანაც მდგომარეობაც ავალებს დაიცვას თავისი მოდგმის ინტერესები, ამიტომაც იგი იძულებული ჰხდება გამოვიდეს იმ სახელმწიფოთა მხარეზე, რომელთაც შეუძლიანთ უზრუნველჰყონ მისი ეროვნული მთლიანობის არსებობა. ყველა ამ მიზეზის წყალობით რუმინეთი ამიერიდან ავსტრია-ჰუნგრეთის წინააღმდეგ ომობს.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 14 მარიამობისთვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. შმარდენ მალადეცკაიას მიდამოებში ლატიშთა ბატალიონებმა პირველ სიმაგრის ხლართები გაარღვიეს და გაჰრილ გასავლებში ორი ლუზა ჩასცეს. 30 ნაბიჯზე მოწინააღმდეგე ლატიშებს უშედეგოდ ესროდა. დრისვიატის ტბასთან ჩვენს ჯარს მოწინააღმდეგის ჰაეროპლანები დასტრიალებდა, ყუმბარები ჩამოჰყარეს. იმსხვერპლა ერთი პასტორი. მდინარე სტოხოდზე სოფელ ტობოლის მიდამოებში მოწინააღმდეგე ზარბაზნებს სასტიკად გვესროდა. მოკლულ იქმნა სახელოვანი პოლკის კომანდირი ზაკოვი. კარპატებში, კოვერლას მიდამოებში ჩვენმა ჯარმა „1129“ სიმაღლე გაარღვია (ხუთი ვერსი კოველიდან). ეს სიმაღლე აიღო და ტყვედ შეიპყრო 3 აფიცერი, 146 მეომარი და 4 ტყვიისმფრქვეველი. ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება.

კავკასიის ასპარეზი. დიარბექირის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა მდ. მასლადარასის მიაღწია, რომელიც ეფრატს ერთვის, სოფელ ნურიკიდან აღმოსავლეთით.

პეტროგრადი, 15 მარიამობისთვე, ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი; კოლდიჩევის ტბის ჩრდილოეთით რუსის არტილერიამ მოიგერია მტრის შემოტევა; ბარავოვიჩ-ლუნინეცის რკინის გზის სამხრეთით, მდინარე შარაზე გერმანელების ორმა ბატალიონმა შემოუტია მდინარეს დასავლეთით ნაპირზე მყოფ რუსის ჯარის წინა რაზმებს, მაგრამ უკუაგდეს; მდინარე სტოხოდზე, სტობიხოვის სამხრეთით, რუსის მზვერავები შემოერტყენ ავსტრიელების რაზმს და ნაწილი დაატყვევეს; დნესტრის მიდამოებში, ქალაქ მარიამპოლის ჩრდილოეთით რუსის ჯარმა ბრძოლით დაიპყრო სოფელ დელქიუევის აღმოსავლეთით მყოფი ჰალა და იქ კიდეც გამაგრდა; ტყვედ წამოიყვანეს 1 ოფიცერი და 37 ჯარის კაცი.

კავკასიის ასპარეზი. ბრძოლა გრძელდება ქალაქ კიგიდან ვანის ტბამდის; რუსის ჯარმა გამოაგდო ოსმალები მდინარე მასლა-დარასის (ეფრატს ერთვის სოფელ ნურიკთან) მარცხენა ნაპირის თხრილებიდან და გადავიდნენ მდინარის დასავლეთ ნაპირზე; ბითლისის ჩრდილოეთით რუსებმა კონტრ-იერიშით დაახევინეს მტერს სამხრეთისაკენ; დაატყვევეს 11 ოფიცერი და 200 ასკერი; მოსულის მიმართულებით ჩვენ ვავიწროებთ მტერს ნერის და საქქიზის მიდამოებში.

პეტროგრადი, საღამოს ოფიციალი ცნობა; დასავლეთ და კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიჟი, 15 მარიამობისთვე. ოფიციალი. ფრანგებმა მოიგერიეს გერმანელების რამოდენიმე იერიში, მიმართული ფლერის პოზიციების წინააღმდეგ; დანარჩენ ბრძოლის პირზე ღამემ მშვიდათ ჩაიარა.

პარიჟი, 13 მარ. სოლუნის ფრონტი. მარჯვენა ფრთაზე დრო-გამოშვებით საარტილერიო სროლაა, განსაკუთრებით ქენიკოს რაიონში. მდ. მტრუმის მარცხენა ნაპირზე ინგლისელები შეუწყვეტლივ ესვრიან ბულგართა პოზიციებს ბელეშის მაღლობებზე. ვერტენიკის მიმართულებით ბულგარებმა რამდენჯერმე იერიში მოიტანეს სერბიელთა წინააღმდეგ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ. დიდის მხნეობით უმკლავდებიან სერბებს და ისე იხევენ. სერბთა არტილერიის სიმრავლის გამო ბულგარებს დიდი ზარალი მოსდით.

პარიჟი, 13 მარ. სომის ფრონტზე მთელმა დღემ წყნარად ჩაიარა. მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანელებმა ზედიზედ სამჯერ იერიში მიიტანეს ვოშაპიტრის მიმართულებით, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. ასეთივე იერიში მიიტანეს 800 მეტრის ფრონტზე კროსანჟათან, მაგრამ აქაც იმედები გაუცრუვდათ და დიდი ზარალით უკუვაგდეთ.

რომი, 14 მარ. ტრენტინის ფრონტზე ავსტრიელებმა სასტიკი საარტილერიო სროლა ასტეხეს. ძლიერი თოფის სროლაც არა სწყდებოდა. ჩვენი არტილერია მარდად უპასუხებდა და ბევრგან კიდეც მიმოაბნევია მტრის პოზიციები. მტრის არტილერია დაჟინებით ესვროდა იზონცოს ხიდს, ზოგიერთა ზარბაზნის ტყვია გერიცუში გადმოვარდა.

ლონდონი, 14 მარ. ინგლისის მთავარ-სარდლის ცნობა. გენერალი ხეგი იტყობინება: 12 აგვისტოს ცნობაში მოხსენებულ იერიშის დროს ინგლისელებმა ხელთ იგდეს კიდე 7 ტყვიისმფრქვეველი; მათ დაიჭირეს კიდევ 200 ადლი გერმანელთა თხრილები, ბეზანტენ-ლე-პტის ჩრდილოეთით ხელთ ჩაიგდეს 1 ტყვიისმფრქვეველი. ღამით მტრის არტილერიამ ბეტიუნს დაუშინა ზარბაზანი, ინგლისელებმაც უპასუხეს და ესროდენ მტრის ხელში მყოფ რკინას გზის სადგურს და ყაზარმებს. „20“ სიმაღლის გორაკის ახლო მტერმა ნაღმი ააფეთქა, ზიანი არა ყოფილა რა. დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე შესამჩნევი არაფერია.

სალონიკი, 13 მარიამობისთვე. მდინარე სტრატაზე წინა რაზმების ზარბაზნის და თოფის სროლაა; აგრეთვე მთა ბელეზე; დოირანის ტბასთან და ვარდარზე არტილერია მძლავრად მოქმედებს; მოგლენიცის ხეობაში სერბები წინ სვლას განაგრძობდნენ მიუხედავათ ბულგარელების ძლიერის წინააღმდეგობისა; სერბიელთა ჯარის მარცხენა ფრთამ უკუ აგდო ბულგარელთა ყველა იერიში, მიუხედავად მათი განმეორებისა და ძალისა; ხუთ მარიამობისთვის აქეთ დატყვევებულია 200 ბულგარი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბულგართა თავხედობა

ჟენევაში საერთაშორისო წითელ ჯვრის გამგეობას ბულგართაგან მისვლიათ წერილი: „სერბელთა წითელ ჯვრისგან მოგვივიდა წერილი 31 მარტს, რომელშიც გვთხოვენ გარდავცეთ მათ სერბელ ქვეშევრდომთა სია, რომელნიც ტყვედ წამოვიყვანეთ. კეთილ ინებოს და მიაწოდოს წითელმა ჯვარმა, რომ ჩვენ არავითარ ცნობებს არ ვაძლევთ ყოფილ სერბეთის მცხოვრებთა შესახებ, რომელნიც დღეს ბულგართა ქვეშევრდომებად ითვლებიან და ჩვენს კანონებს ემორჩილებიან.

ოსმალთა მეოთხე დივიზია.

ოგლინი სწერს „რუს. ვედ“.-ში, რომ რაიითან დამარცხებული მეოთხე დივიზია სულ ახალად მოსული იყო კავკასიის ბრძოლის პირზე და ოსმალთა ჯარის შუაგულს შეადგენდაო.

სპარსეთში.

ხამადანის ჩრდილოეთით იბრძვის ოთხი ან ექვსი ოსმალეთის დივიზია, ეს ჯარი ემუქრება თეირანს.

ზღვაზე.

ბერლინში თამამად უარყოფენ ინგლისელთა ოფიციალ ცნობას, ვითომც ჩრდილო ზღვაში გამოსული გერმანელი ფლოტი ინგლისელთა შეხვედრის გამო დაბრუნებულიყოს.

რუსები ინგლისში.

ინგლისში მყოფი რუსეთის ქვეშევრდომნი, უმეტესად ებრაელები, ინგლისის ჯარში გაიწვიეს; ვინც თავის ნებით არ გამოცხადდება, მათ უკანვე გადმოასახლებენ რუსეთში.

იზეთ-ფაშას ჯარები.

მიხაილოვსკი სწერს „რუს. სლოვო“-ში.—რაიითან და მუშთან დამარცხდა იზეთ-ფაშას ჯარის ფლანგებიო; მისი შუაგული კი ჯერ ხნობით კიდევ მაგრად სდგას ბითლისის ჩრდილოეთით, ვანის ტბის ახლო; იზეთ-ფაშას თურმე ზურგს უმაგრებს 11 დივიზია რეზერვი—ესე იგი 120 ათასი; ამგვარად ბრძოლის სიმძიმე ცხადად გადავიდა ერზინჯიანის აღმოსავლეთით.

იმპერატორი ვილჰელმი.

ბერძნის გაზეთებმა გამოაქვეყნეს იმპერატორ ვილჰელმის საუბარი ოფიციალ მისსიასთან იმის შესახებ, თითქოს დღევანდელი ომის მიზეზი ის ყოფილიყოს: „არა მშურს იმის ბედი,—უთქვამს იმპერატორს,—ვის სინდისზედაც სძევს პასუხისმგებლობა დღევანდელ ომის შესახებ. თუ მკითხავთ, თვითეული განათლებული ევროპიელი პასუხისმგებელია ამ ბრალდების წინაშე და რამდენადაც მაღალია მისი მდგომარეობა, იმდენადვე მაღალია პასუხისმგებლობაც. ისტორია გასასამართლებელს ოქმს მომიძლვნის. მაგრამ თქვენ, ნეიტრალებო, რატომ ლაპარაკობთ გერმანეთის მილიტარიზმზე? მომავალი თაობანი უკედ გაანაწილებენ პასუხისმგებლობის სიმძიმეს ამ ომის მოსაბაბეთა შორის.

რუმინეთის გარშემო.

„უტრო როს.“ სწერს: რუმინეთი ავსტრიას კი არ შეებრძოლება როგორც მოელიან, არამედ ბულგარეთსო, მას მხარში ამოუდგება მოკავშირეთა ჯარიო.

ბალკანეთის ფრონტი.

ბალკანეთის ფრონტი სამ ნაწილად იყოფა; პირველი ნაწილი—ვალონიდან ოხრიდესამდის; მეორე ფლორინედან ქორიცამდის, აქ იმყოფება 60 ათასი კაცი; მესამე ნაწილი მონასტირიდან დემის გისსარამდის; აქ 130 ათასი ბულგარი და 12 ათასი გერმანელია; აქვე იმყოფება 10 ათასი მაკედონელი კომიტაჯი.

ინგლისის ელჩი და ბულაცელი

ამას წინად ჟურნალ „რუს. გრაჟდანინმა“ დაბეჭდა ინგლისელების წინააღმდეგ მიმართული წერილი: ინგლისის ელჩმა მოითხოვა ჟურნალის გამომცემელმა ბოდიში მოიხადოს. როდესაც რედაქტორი მივიდა, ელჩმა შემდეგი ჰკუის დარიგება მისცა: „თქვენი ჟურნალის წერილი ისეა გაჟღენთილი ინგლისისადმი სიძულვილით და გერმანეთის სიყვარულით, რომ აღტაცებით წაიკითხავდენ ბერლინშიო; გერმანეთს ყოველთვის სურდა ინგლისის და რუსეთის წაკიდება და ახლა კიდეც გაიხარებს, რადგან თვით რუსეთში აღმოჩენილა ასეთის შეხედულების ხალხიო; რა პირმა გათქმევინათ, რომ ინგლისელებმა მხოლოდ რამდენიმე მეტრი (ადლი) წაიწია წინ, ეს ხომ ტყუილიაო; განა ჩვენ რამდენიმე ასი მეტრით არ გავიწიეთ წინ?... მოიგონეთ აგრეთვე თუ რამდენი მილიონი სტერლინგი მიიღო რუსეთმა ინგლისისაგან“...

რუმინელები და ავსტრიელები.

ამას წინად ავსტრიის სამარი ნავი შევიდა რუმინეთის კუთვნილ დუნაეს ყურეში და დაიწყო წყლის სიღრმის ზომა; რუმინეთის ჯარისკაცებმა თოფები დაუშინეს. ტურნ-სევერინაში დაუჭერიათ ავსტრიელთა სავაჭრო გემი „ჯულა“.

რუმინეთში 400,000 ავსტრიელი სცხოვრობს; მათგან მარტო დედა-ქალაქში 70 ათასია.

ბულგარები და სერბები.

ბულგარეთმა უარი უთხრა სერბეთის „წითელი ჯვარის“ საზოგადოებას რაიმე ცნობის მისაწოდებლად შესახებ დაპყრობილ სერბეთში დარჩენილ დაჭრილ სერბებისა;--მათი ბედი თქვენ აღარ გეკითხებათ, ისინი ჩვენი ქვეშევრდომები არიანო!“

უკანასკნელი დეპეშები

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანოფილების ბანაკში სახოწარკვეთილებაა. რუმინეთი საომრად მზადებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ყოველგან ცხენების რეკვიზიცია ჰხდება. ამ დღეებში 800 გერმანელი და ბულგარელი ოჯახი ბუქარესტიდან გავიდა. გერმანეთის ელჩმა ფონ-ბუშემ მეფეს ხელ-ახალი აუდიენცია გამოსთხოვა. შესაძლებელია ულტიმატუმი წარუდგინოს და მით დააჩქაროს ვითარების გამორკვევა.

—

გერმანულ გაზეთების ცნობით გერმანეთ-ბულგარეთის იერიშები ბალკანეთის ფრონტზე პოლიტიკურ მოსაზრებით არის გამოწვეულიო.

—

ბულგარეთში უკვე კარგად დარწმუნებულნი არიან, რომ რუმინეთი ომში ჩაერევაო. ამის გამო ჯარის შესაფერ განაწილებას ახდენენ.

—

დანიის და გერმანეთის გაზეთების ცნობით ბულგარელებს 300 ათასი ქვეითი ჯარი ჰყავთ 22 პოლკი ცხენოსანი და 52 ზარბაზანი.

—

ოფიციალად იტყობინებიან: ინგლისის პატარა კრეისერი „ლიუკფონ-ალბანი“ მოწინააღმდეგემ ჩრდილოეთის ზღვაში ჩასძირაო. 23 მატროსი და კაპიტანი დაიღუპა, დანარჩენი 86 გადარჩა. (პ. ტ. ს.)

—

იტალიის ჯარი სალონიკში მივიდა. მასთან გერმანელებს ჯარს მოუხდება შეტაკება. მაშასადამე, იტალიას მიზეზი მიეცა გერმანეთს ომი გამოუცხადოს.

—

„პ. ტ.“-ის ცნობით ბრატიანუ პრინციპით მომხრეა მოკავშირეებისა, მაგრამ ომში ჩარევის უფლებას რუმინეთს უტოვებს.

—

ჩრდილოეთის ზღვაში ახამდე ინგლისელთა გემი გამოჩნდა. იქვე „ცეპელინი“ შენიშნეს.

—

თერგის ოლქის უფროსმა ბრძანება გასცა მცხოვრებთ იარაღი აჰყარონ, რადგან მათ საქონლის რეკვიზიციის დროს იარაღით წინ-აღმდეგობა გაუწიეს.

ავტოკეფალიის გარშემო

გამოცხადდა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომ ობერ-პროკურორი ვოლჟინი სამსახურიდან დათხოვილია და სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

ვოლჟინის თანამდებობაზე უწ. სინოდში ასახელებენ თავად. ნ. დ. ჯავახოვს. ეს ჯავახოვი ჩამომავალია ქართველ თავად ჯავახიშვილისა, რომელნიც რუსეთში გაჰყვნენ მეფე ვახტანგსა და მეფე თეიმურაზს. დღეს ეს ჯავახოვები მალოროსიის მემამულენი არიან. თავად ნ. დ. ჯავახოვი, რომელსაც დღეს ობერ-პროკურორის ადგილზე ასახელებენ, კამერ-იუნკერია, წმიდა იოასაფის ძმობის თავმჯდომარე. რუსული პრესის აზრით ამ დანიშვნას კავშირი აქვს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან. რწმენით თავადი ჯავახი უკიდურესი მემარჯვენეა.

კიდევ ავტოკეფალიის შესახებ და პროვინციის სამღვდელოება

ობერ-პროკურორის ჩამოსვლას და ქართული პრესის ახმაურებას ეტყობა ფუჭად არ ჩაუვლია; ქართულ გაზეთებში გამოთქმულმა აზრმა ქართ. ეკლესიის მდგომარეობის შესახებ და ქართ. სამღვდელოების ბეჩავად, უვარგის ელემენტებად გამოცხადებამ, ცოტა არ იყოს ჩვენი სულიერი მამები ჩააფიქრა; მოულოდნელმა ახმაურებამ, ავტოკეფალიის შესახებ ატეხილმა, უეცრივ შეაკრთო ისინი. თავიანთი შეურაცხყოფილი პიროვნება თვალწინ წარმოუდგათ, ერთმანეთის შეხედვა ერცხვინებოდათ, რასაც უწერდნენ მართალი იყო; გრძნობდნენ, რომ ღირსნი იყვნენ ამგვარ გაკიცხვას, იგრძნეს, რომ ისინი მართლა გარიყულნი ყოფილან ცხოვრებიდან, მათ არარად სთვლიან, მათი ხსენება მხოლოდ ფორმალურ წესების აღსრულების დროს თუ აგონდება ხალხს და თუ ახსენებენ კიდევ მხოლოდ არა მათ სასარგებლოდ და საპატიოთ. მათ შორის მოიპოვებიან ისეთებიც, რომელნიც თავისი მახვილი გონებით იმასაც კი მიმხვდარიყო, რომ ავტოკეფალიის საკითხი, რომლის გახსენებასაც კი მანამდის სახიფათოდ სთვლიდნენ, ახლა უკვე მომწიფებულაო და თუ ქართ. მრევლმა თავისი მეცადინეობით დაიბრუნა ეკლესიის მართვა-გამგეობა, მაშინ ისინი როგორც ღირსი მამები ხომ „ატსტავკას“ მიიღებენ. ისეთებიც მოიძებნებიან მათ შორის, რომელნიც ჯერ კიდევ ნაადრევად სთვლიან ამგვარ მართველობის, ავტოკეფალობის შემოღებას. მაგრამ ბევრია გულწრფელი და შეგნებული მომხრეც ქართული ეკლესიისა; ასეთი გულ-წრფელი მღვდლები უფრო სოფლად, პროვინციაში მოიპოვებიან, სოფლის მამები უფრო ახლოს არიან ქართ. მრევლთან და ღირსება ახდილ ქართ. ეკლესიის პირ-ვარამთან, ამათ უფრო შესტკივათ გული ეკლესიის სავალალო ბედზედ, ვიდრე შედარებით მათზედ უზრუნველ ყოფილ ქალაქის სამღვდელოებას. ქალაქის სულიერი მამები უფრო ნაკლებ განიცდიან ქონებრივ და ზნეობრივ სიდუხჭირეს, ამიტომ მეტი დროცა და შეძლებაც მოეპოვებათ იზრუნონ სხვა კეთილ საქმეებზედ; განათლებული მამებიც მეტი მოიძებნებიან ქალაქად, ვიდრე სოფლებში და ამიტომაც მათაც შეჰფეროდათ „ტონის“ მიცემა პროვინციის მამებისათვის, მათ უნდა მიეცათ მაგალითი ყოველ საეკლესიო თუ კერძო საქმეში, მათ უნდა ედვათ ინიციატორობა თუნდ იმ დროს, როცა ობერ-პროკურორი ჩამობრძანდა და მოეხსენებინათ ქართ. ეკლესიის საჭირო

რეფორმების შესახებ. მაგრამ, როგორც ქართ. მრევლი, ისე სოფლის სამღვდელოებაც მოსტყუვდნენ. ან როგორ არ მოსტყუვდებოდნენ, სოფლის მამებიც ხომ თითონ კარგათ გრძნობენ, რომ მათ შორის ბევრს აკლია შესაფერი განათლება, ამიტომ ესენიც ქალაქის ქართ. სამღვდელოებას უთმობენ პირველობას, შესცქერიან მათ, თუ რას იტყვის ქალაქის მოწინავე კრებული. მაგრამ ისინი სდუმან, არამც თუ ინიციატორებად გამოსულიყვნენ ისეთ საქმეში, როგორც „ავტოკეფალობაა“.

ქალაქის სამღვდელოებამ არც კი შეატყობინა მივარდნილ პროვინციის სამღვდელოებას, თუმცა რამდენიმე დღით ადრე სცოდნოდათ ვოლჟინის ჩამობრძანება. უმეტეს პროვინციის მამებმა მხოლოდ მაშინ გაიგეს, მაგალითად, ერწომ და მის მთის ნაწილმა, როცა უფალი ვოლჟინი უკვე გამგზავრებას აპირებდა. მიუხედავად ამისა მაინც პროვინციის სამღვდელოებამ უნდა ისახელოს თავი, თუმცა მკრთალად, მაგრამ პირველად აქედგან გაისმის ხმა სიმართლისა; ეტყობა სოფლის მამები უფრო საიმედონი გამოდგნენ; ეტყობა ამათ უნდა მისცენ მაგალითი ქალაქის მამებს ავტოკეფალიის შესახებ. ამ მხრივ, თუ არა ვცდები, პირველი ნაბიჯის გადადგმა ერწო-თიანეთის სამღვდელოებას ეკუთვნის. ვუსურვებთ მეტ გამბედაობას და ვიმედოვნებთ სხვებიც მიჰბაძავენ ამათ მაგალითს, რომელიც მოხდა მარიამობისთვის 8-ში სოფ. თიანეთის მაზრის პირველი საეკლესიო ოლქის სამღვდელო საეკლესიო მსახურთა კრებაზედ: აღძრული იქმნა საკითხი ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. გაიხსენეს რა 1905 წ. ამ საგანზედ აღძრული კითხვა, აღიარეს ერთხმად, რომ დღესაც თხოულობს ავტოკეფალობასა, როგორც სამღვდელოება აგრეთვე ქართველი ერი. და დაადგინეს შემდეგი: დაევალოს მ. ბლაღოჩინს მღვდელს გრიგორი სოხლულაშვილს აცნობოს მეზობელ ბლაღოჩინებს, რომ მათაც საბლაღოჩინო კრებაზედ აღძრან აგრეთვე კითხვა ავტოკეფალობაზე და თავიანთი მხრით აცნობონ თავიანთ მეზობელ ბლაღოჩინებსა, მათდამი რწმუნებულ სამღვდელოებისადმი გამოსაცხადებლად, რომ ამ საგნის შესახებ აღძრულ იქმნას კითხვა ეპარქიალურ კრებაზედ. დაევალოს ამორჩეულ დეპუტატს დაუჭიროს მხარი ამ საკითხსა და დაიცვას ყოველივე ინტერესები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა.

ხელს აწერენ შედგენილ „აქტზე“ მთელი შემადგენლობა კრებისა.

თიანელი.

ახალი ამბავი

◆ **ჯარში გაწვევა.** როგორც გვატყობინებენ ჯარში გაწვეულნი არიან პირველ ხარისხისა 1898—1916 წლისა და მეორე ხარისხიანნი 1910—1916 წლისა.

◆ **სიონობა.** 15 მარიამობისთვეს სიონის ტაძრის დღესასწაულმა დიდძალი მლოცველი მიიზიდა, როგორც წინა ღამით, ისე წირვაზე. მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი პლატონი ეპისკოპოსებ ანტონისა და დამიანეს თანამწირველობით. წირვაზე ექსარხოსმა მიტრით დააჯილდოვა ტაძრის წინამძღვარი დეკ. მ. ტყემალაძე და სიტყვით მიმართა, მიულოცა, რომ საქართველოს საექსარხოსოს ტაძრების წინამძღვარნი, როგორც რუსეთისა მიტრებით იქმნებიან ამიერიდან დაჯილდოვებულნიო. წირვაზე დაესწრნენ მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მეუღლით დიდ მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულით, რომელთაც კეთილ ინებეს და წირვის შემდეგ დეკ ტყემალაძეს მიულოცეს მიტრით დაჯილდოება.

◆ **ანჩისხატობა.** გუშინ ანჩისხატის ტაძრის დღესასწაულმა დიდძალი მლოცველი მიიზიდა. წინა ღამით მლოცველი იყო არქიმანდრიტი დოსითეოსი, ტაძრის კრებულის თანამლოცველობით, წირვა და პარაკლისი გუშინ გადიხადა ყოვლად სამღვდელო ანტონიმ ეპისკოპოსმა გორისამ არქ. დოსითეოსის და ადგილობრივ კრებულის თანაწირველობით. განიცადეზე მეტად მგძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ტაძრის წინამძღვარმა დეკ. ნ. თალაქვაძემ. წირვის შემდეგ ლიტანია გაიმართა ტაძრის გარშემო.

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოებამ** განსვენებულ ეკ. ივ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო დაადგინა გადასდოს 50 მანეთი ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ, დაარსდეს ერთი სტიპენდია და გადახდილ იქმნეს პანაშვიდი.

◆ **ჩამოხრჩობა.** 13 მარიამობისთვეს დილის 3 საათზე სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გუმბათ ვალი ოღლიზე, რომელსაც სასამართლოსაგან ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

◆ **წერა-კით. საზ. მასწავლებლებს.** სახალხო სკოლების დირექტორმა გამოუგზავნა მოწმობები წერა-კითხვის საზოგადოების თბ. გუბერნიის სკოლის მასწავლებლებს სამხედრო უფროსთან წარსადგენად ჯარში გაწვევის ვადის გასაგრძელებლად თანახმად სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებისა.

◆ **მეურნეთა საყურადღებოდ.** რუსეთის ქალაქთა კავშირს სჭირია დიდძალი რიცხვი ათი ათასობით ფუთი შემდეგი ბოსტნეულობა: წითელი წიწაკა, მწვანე წიწაკა (перецъ горошкомъ) დაფნის ფოთოლი მდოგვი, (горчица) და ყველა ნაირი ჩირი. კავშირს სურს სამუდამო კავშირი დაიჭიროს მსხვილ მეურნეებთან. მსურველთ უნდა აცნობონ რაოდენობა, ფასი და დრო მიწვდისა ამ სანოვაგეთა შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Жуковская № 2, хозяйств. отдѣлу Зак. Комитета Всерос. Зем. Союза.

◆ **თათბირი ხოლერასთან საბრძოლველად.** შაბათს 13 მარიამობისთვეს ნაშუადღევის 4 საათზე თავის ბინაზე მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწემ თ-დ ორლოვმა თათბირი მოახდინა ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების შესამუშავებლად. კრებაზე არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია 10 კაცისაგან. კომისიამ მეორე დღეს დაათვალიერა დიდუბეში ახალშენი, ალექსანდროვკა და ის სხვა ადგილები, სადაც ხოლერამ იჩინა თავი.

◆ **სასტუმრო „ბომონდში“** მცხოვრებმა ნ. დ. ნოდიამ განუცხადა პოლიციას, რომ მას ნომრიდან 1580 მანეთი დაეკარგა.

◆ **ქართული წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 17 მარიამობისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

◆ **სამძიმრის დეპეშა.** ეკ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო პეტროგრადის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მინდობილებით ქორქაძისაგან რედაქციამ სამძიმრის დეპეშა მიიღო.

◆ **ვადის გამგრძობ კომიტეტში.** ქალაქის ვადის გამგრძობ კომიტეტმა, რომელსაც ჯარში გასაწვევთა საქმეს განაგებს 12 მარიამობისთვის კრებაზე 39 საქმე განიხილა, სხვათა შორის 1917 წ. 1 იანვრამდე ვადა განუგრძო სასანიტარო სამკურნალო ინსპექციის მსახურთ, გვანცელიძის აფთიაქიდან, „ქართლის“ სტამბიდან და სხვ. უარი ეთქოთ ჯანელიძის აფთიაქიდან, სასადილოების კოოპერატივს, ი. ს. აბაშიძეს, ქალაქის ლაბორატორიას, რედაქციას სომხურ ჟურნ. „ოვიტისა“ ვ. ს. დოროჟნოვის ფირმას და სხ.

◆ **ხოლერა.** 16 მარიამობისთვეს დილის 8 საათზე ხოლერიანთა საავადმყოფოში № 40 ითვლებოდა ხოლერიანი 42, საქვო 9.

◆ **ქალთა სასტატო სემინარიაში,** რომლის პირველ კლასს ენკენისთვიდან ხსნის თბილისში „განათლების“ საზოგადოება, თავისუფალია ბუნების მეტყველების (3 გაკვ.) და ფიზიკის (3 გაკვ.) მასწავლებლის ადგილი. ყოველ გაკვეთილში მიეცემა წლიურად 75 მ. მასწავლებლისათვის სავალდებულოა უმაღლესი ცენზი. სწავლა იქნება ქართულად. მსურველთ უნდა მიმართონ საზოგადოების გამგეობას ოვით სასწავლებელში (სვიატოპოლკმირსკის ქუჩა, № 6).

◆ **პურის შეძენა.** ვინაიდგან მთელ ჩრდილო-კავკასიის ფქვილის საკითხი სამხედრო უწყების რწმუნებულის ბ-ნ დანილევსკის გამგებლობის ხელში გადავიდა, ქალაქის გამგეობამ დაადგინა ფქვილი პირდაპირ ბ-ნ დანილევსკისგან გამოიწეროს ხოლმე.

◆ **მომხმარებელი ამხ.** სიღნაღის მაზრის ს. ანაგის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე ს. ანაგაში მომხმარებელ ამხანაგობა „სხივის“ დაარსების შესახებ.

◆ **„ქსნის“ მომხმ. ამხ გამგეობა** თ-დ ნ. დ. ერისთავის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგნენ საქმეს ს. ახალგორში მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ. გამგეობის წევრნი თავმჯდომარითურთ თბილისში ჩამოვიდნენ საქონლის შესაძენად.

◆ **ფუნიკულერის მოძრაობა.** ანტრაციტის უქონლობის გამო დროებით შეჩერებულ იქმნება.

◆ **რუსეთის ქალაქთა კავშირის** რწმუნებულის ამხანაგი ბ-ნი შიშკინი კავკასიის საქმეების გამგეს ბ. მილლერთან და ექიმ მალოვსკისთან ერთად სპარსეთში გაემგზავრა. 20 მარიამობისთვეს ერზერუმის ოლქისკენ გაემგზავრება, ხოლო თბილისში 26 მარიამობისთვეს დაბრუნდება. ამ დღეს დანიშნულია ქალაქთა კავშირის კრება პროვინციელ ქალაქთა წარმომადგენელთა მონაწილეობით.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** 15 მარიამობისთვეს გოლოვინის პროსპექტზე ამხ. „კოროტენკოს ავტომობილმა ქვეშ მოიყოლა აზნაური ალ. ს. იმხნელი და მძიმედ დააშავა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ **სანთლის ფასები.** თბ. საეპარქიო სანთლის ქარხანამ წმინდა სანოვლი დააწესა ძველი ზომისა, როგორც ომის დაწყებამდე იყო, ე. ი. 1 გირვანქაში 1 კაპიკიანი არის 200 ცალი, 2 კაპ.—125 ც., 3 კ.—75 ც., 5 კ.—42 ცალი, 10 კ.—21 ც., 20 კ.—10 ც., 40 კ.—5 ც., 50 კ.—4 ც., და 1 მან. —2 ც., საყდრებმა კი უნდა გაჰყიდონ 1 კ. 2 კაპეიკად, 2 კ.—3 კ., 3 კ.—5 კაპ., 5 კ.—10 კ., 10 კ.—20 კ., 20 კ. —40 კ., 40 კ.—80 კ., 50 კ.—1 მან. 1 მ.— 2 მანეთად.

დ. ხონი.

შაბათს 6 აგვისტოს ადგილობრივ თეატრის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ. წარმოდგენილ იქმნა „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“ დიაჩენკოსი და „თავის ბრალია“ გუნიასი. ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. ხალხმა ყალაბეგიშვილი საჩუქრებით დააჯილდოვა.

— კვირას 7 მარიამობისთვეს, წარმოადგინეს „უბედური ნაბიჯი“. ხალხი ცოტა დაესწრო.

— პარასკევს 12 მარიამ., კიევის უნივერსიტეტის სტუდენტმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „ხელოვნება და თეატრი“.

— ხონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ მოიტანა რამდენიმე ფუთი შაქარი. გირვანქას ჰყიდის 20 კაპ.

— ხონის ცხოვრება თითქოს ისევ წინანდელ კალაპოტში ჩადგაო. დარბევის შემდეგ ორ კვირას არ უშვებდნენ ხალხს სოფლებიდგან სავაჭროდ, ასე რომ სანოვაგე არ იშოვებოდა, ეხლა კი ისევ ნება დართეს. ასე რომ „პარასკეობა“ ისევ ჩვეულებრივად იმართება, ხოლო ქალებს პირის ახვევის ნებას სასტიკად უკრძალავენ. ხორცის გარდა ყველაფერი იშოვება ბაზარში. მხოლოდ მეპურეები ძალიან ცუდ ფქვილისაგან აცხობენ პურს, ამას კი არავინ ყურადღებას არ აქცევს. ვაჭრები თითქოს ახალი ნიხრით ვაჭრობენ. უსუფთაობა ხონის ქუჩებში ისევ ძველებურად არის. ზოგიერთ ქუჩებზე წყლები გადმოდის, გეგონებათ მდინარე გადმოსულაო; ამ ამბებს კი ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივი ადმინისტრაცია. უკანასკნელ ხანებში მოქეიფე პრაპორჩიკებმა ძლიერ შეგვაწუხეს. არის ქუჩებში ეტლებით სირბილი, ქეიფი და სროლა. პარასკევს 5 მარიამობისთვეს, ხომ ქუთაისის ქუჩაზე ერთი ამბავი ჰქონდათ. ხმის გამცემი კი არავინ არის. არ ვიცი ასეთი უპატრონობა ნეტავ სხვა დაბებშიაც არის, თუ მარტო ხონია დაბრიყვებული?

ბაკურიანი.

წრეულს დიდძალი მოაგარაკენი არიან. საუცხოვო დარი დგას. ამ ბოლო დროს ცოტა საგრძნობლად აგრილდა. მოაგარაკენი ცოტა არ იყვეს სანოვაგის შოვნა, სიძვირეს ემდურებიან. ადგილ. მცხოვრებნი რძის გაძვირებას იმით ხსნიან, რომ წრეულს ჭირმა დიდძალი საქონელი გასწყვიტა, ზაფხულის სიცხეებმა თივა ამოსწვა. ამასთანავე მუშა ხელიც აღარ მოიპოვებაო.

წაღვერი.

როგორც ბაკურიანი, წაღვერიც წრეულს მოაგარაკენითაა სავსე. საუცხოვო დარი სდგას. მოაგარაკენი მუდმივ დადიან ექსკურსიით სხვა და სხვა ადგილებს.

სურამი.

ხალხი ნელ-ნელა იძვრის აქედან. სეზონი თავდება. თუმცა შემოდგომას აქ უფრო კარგი ჰაერია, ვიდრე ზაფხულობით, ენკენისთვეში საუცხოვო თბილი დღეები იცის და არც ქარები. შემჩნეულია შემოდგომაზე მოსულ ხალხს, თუმცა ძალიან ცოტანი მოდიან, საშინლად რგებს ენკენისთვის ჰაერი.

— კლუბში ჩხუბი და უსიამოვნებანი კვლავ გრძელდება.

სიტყვა

თქმული ხოსიკო მერკვილაძის მიერ ეკ. სარაჯიშვილის დაკრძალვის დღეს

საქართველოს ღირსეულო და სასიქადულო ასულო ეკატერინე! საქართველოს წარსულში მრავალი ჰყავდა გამოჩენილი დედები, სამშობლოს ძლიერი სიყვარულით გულ ანთებულნი და მისი კეთილდღეობისათვის სულითა და ხორცით თავგანწირულნი, რომელნიც მუდამ მზად იყვნენ, მტლად დასდებოდნენ თავის სამშობლოს და მსხვერპლად შეეწირათ თვისი სიცოცხლე, ქონება და შეძლება. სწორედ ერთი ამგვართაგანი, ძველი დიდებულ ქართველ ქალების წარმომადგენელი ბრძანდებოდით თქვენ—მთელის თქვენის არსებით. და თქვენი, ასე უდროოდ დაკარგვა მით უფრო, ათასჯერ უფრო სამწუხაროა, რომ ამ ჩვენს დაკნინებულს და დაბეჩავებულს ხანაში ან სულ არსად არ მოიძებნებოდა თქვენი მზგავსები ან ძალიან იშვიათნი არიან. მაგრამ თქვენ თქვენის ბრწყინვალე ცხოვრებით და შეგნებული ეროვნული მოქმედებით, ქართველთ დიდებულ ანდერძათ დაუტოვეთ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ იგინი და როგორის დიადის სიყვარულითა და ერთგულობით უნდა ემსახურებოდნენ თავის ერს.

თქვენ, ძვირფასო ეკატერინე! ნამდვილი მეუღლე და ჭეშმარიტი ამხანაგი იყავით სულმნათი თქვენი მეუღლე, დიდი ქველმოქმედის დავითისა. თქვენ მთელი თქვენი სიცოცხლე გაატარეთ მედგარ შრომაში და მომჭირნეობაში, მუდამ უხვად ეხმარებოდით თქვენი სამშობლოს შვილებს და მუდამ ზრუნავდით მათი კეთილად აღზრდისათვის. ბოლოს კი მთელი თქვენი დიდი შეძლება, ნაღვაწლ-ნაშრომი, რომელიც მილიონებისაგან შესდგება, დაუტოვეთ თქვენი სამშობლოს უმაღლესს კულტურულ დაწესებულებათ.

სამარადისო დიდება თქვენს ქართველობას. თბილისის წვრილ ვაჭართა საზოგადოება ღრმად დამწუხრებული თქვენის ასე უდროოდ დაკარგვით, მუხლს იდრეკს თქვენი წმინდა ცხედრის წინაშე და მოწიწებით ემთხვევა. ამასთანავე ღმერთსა სთხოვს, რომ ქართველთა შორის გამრავლებულ იყოს ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობა, რომ შემდეგში მრავალი მისცემოდეს ჩვენს საქართველოს თქვენებრ სამშობლოს მხურვალედ მოყვარული, ნათელი ჭკუა-გონებით დაჯილდოვებული ქველმოქმედი ადამიანები.

განისვენე ტკბილად დიდებულო დედაო.

სამგლოვიარო წერილები

ბაკურიანი. დიდად დაგვამწუხრა უხვი ქველმოქმედის ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილის უდროოდ დაკარგვამ. ბაკურიანის ეკლესიაში ამ თვის 12 მღ. მ. ჯაბავას ძიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

ვლად. მხეიძე, თევდ. კიკვაძე, ნიკ. მახათაძე, ვერა ლაფერაშვილისა, ბართ. კილაძე, პელაგია კიკვაძისა, ვ. ენუქიძე, იულ. კილაძისა, მღ. ტ. ლაფერაშვილი, მღ. ჯაბავა, ბაბულია ამბრიაშვილის ასული, თ-დი ავალიშვილი, შალვა კილაძე, კ. საბახტარიშვილი, ქ-ნნი ქქოძეები, ელენე ბუკია, გრ. შარაშენიძე, ეკ. ძიძიშვილისა, ილ. ფირცხალაიშვილი, ნინო შარაშიძისა, ილ. კაპანაძე.

მინდობილებით ბართ. კილაძე.

P. S. ამასთანავე გიგზავნით 4 მანეთს, რომელიც შეგროვილ იქმნა მღვდლის გასამრჯელოთ, მაგრამ რადგან ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მიღებაზე, გთხოვთ მიუმატოთ ეს მცირე წვლილი ქართველ მოღვაწეთა მომავალ აგარაკის ასაშენებელ ფულს.

ბ. კ.

ერთი სენის გამო

(დაბა სურამიდან.)

საშინლად გავრცელებულია ამ ჩვენს ბნელით-მოცულს მხარეში ერთი ფრიად სამწუხარო და იმავე დროს ღრმად ჩამაფიქრებელი საქციელი ზოგიერთ ჩვენებურ-მანდილოსანთა მიერ!, სახელდობრ მუცლის მოშლა ანუ ყრმათა მომრავლების წინააღმდეგ ათასგვარ სხვა-და-სხვა ზომების ხმარება...

ეს ყოვლად დასაგმობი საშვალება, რომელიც შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში ქარაფშუტა და უნიადაგო ნაწილმა ინტელიგენციისამ, თანაბრათ ვრცელდება იმავე ინტელიგენტის თუ უბრალო გლეხის ოჯახში, თანაბარი მავნებლობით იკიდებს ფეხს და ერთი მეორის მიბაძვით ლამის უკიდურესობამდისაც კი მიახწიოს ამ სამარცხვინო საქციელმან.

ძმანი განსვენებულისა

ეკატერინე ივანეს ასული

სარაჯიშვილისა

მხურვალე მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც განსვენებულს პატივი სცა.

(1—301—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რა დიდი მავნებლობა მოაქვს ამგვარს ზომებს, ეს ყველაზედ უკეთ იციან იმათ, ვინც კი სცადა ხოლმე და აჩკი რომელმა არ სცადა? რა სახელი უნდა ვუწოდოთ იმ დედას, რომელიც ათასგვარის საწამლავით იხნეულებს ჯანლონეს, სპობს მომავალ თაობას და ხშირათ-კი თვითონ ხდება მსხვერპლი ამ უკუღმართ ქცევისა და სტოვებს დაობლებულ ოჯახს და ქმარშვილთ!.. ბატონებო, ეს საშინელი მტერია კაცობრიობის უკეთეს მომავლისთვის, და მით უმეტეს ჩვენისთანა პატარა ერისთვის. ესეთი ზომები მიგვიყვანს გადაშენების უფსკრულამდეს. ეს ყველა შეგნებულმა ადამიანმა უნდა დაჰგმოს და აღიარებულ უნდა იქმნას მიუტევებელ ცოდვათ ყველა ოჯახის მოსიყვარულე—დედისგან!. ამ დღეებში მივაბარეთ ერთი ასეთი მსხვერპლი ცივს მიწას, სრულიად ახალგაზრდა, ჯანლონით აღვსილი მანდილოსანი, რომლის სიკვდილმაც—მაიძულა ხმის ამოღება და ვალად ვრაცხ ჩემს თავს მივმართო ახლად დაარსებულ დაბა სურამში გორის მანდილოსანთა საზოგადოების განყოფილებასა, რომ რაიმე ზომას მიმართოს ამ უკუღმართობის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი შემხვევა აქ ამ პატარა მხარეში რამდენიმე მოხდა და მგონი არც თუ უკანასკნელი იქნება!

ნ. პ—შვილი.

სოფლად

2. კავკასიის მთები და ყამურის ტბა.

სოფ. კნოლოდან ადვილი მისასვლელია ყამურის ტბაზედ. ოთხი ვერსით ჰშორავს. გადავლახეთ ფეხით ფაჩურის ქედი, ანუ კნოლოს მწვერვალი, რომელიც უდრის ზღვის ზედა პირიდან სიმაღლე 10,810 ფუტი, ანუ სამი ვერსით სიმაღლე.

თითქმის პატარა ლიახვის ხეობის ნაწილი 6,000—10,000 ფუტამდისაა სიმაღლე ზღვის ზედაპირიდან.

კნოლოს მწვერვალიდან თვალწინ ადამიანს ეშლება მთელი რიგი კავკასიონის მთების გრეხილებისა.

სულ ათი ვერსით არც კი ვიქნები დაშორებული კავკასიონის მწვერვალებს!

სხვა და სხვა სახით, სხვა და სხვა მოხაზულობით თოვლით აჭრელებული ცად აყუდებულ ბუმბერაზ მთებს ვუმზერ და აფერადებულ უცნაურ სალებავებით მთა-კლდოვან-ველებს ვეარშიყები.

დიახ! გასაკვირველიც არ არის, რომ რუსების მგოსანი პუშკინი ამ ბუმბერაზ მთებმა ეჭხში შეიყვანეს და წამოიძახა:

„Кавказъ подо мною. Одинъ въ вишинѣ
Стою надъ снѣгами у края стремнины
Орелъ съ отдаленной поднявшись вершины
Паритъ неподвижно со мной на равнѣ“.

ვის არ აუძგერებს გულს და არ დაიმონავებს ეს ბუმბერაზი ცად აყუდებული მთები! ვის არ აამეტყველებს თვალ-წარმტაცნი უცნაური სალებავებით აფერადებულნი მთა-კლდოვან-ველები?!

— აგერ, აი იმ მთას ეძახიან „ნეფის ქალს“, ჩემი თანამგზავრი ოსი ხელს იშვერს ჩრდილოეთისკენ და მაჩვენებს,—იქიდან არაგვის სათავე იწყობა.

— და შორს, რომ მოსჩანს, ის მყინვარია! თოვლიან-ყინულიანია მისი მწვერვალი კავკასიონის მთების გაჩენიდან.

— აგერ კიდევ „ბრუნდ-საბძელია“! დასავლეთისკენ ხელს იშვერს და მეც პირი ვიბრუნე და მართლაც ჩატეხილი ბრუდე საბძელს მიაგავს, თითქოს თოვლის სიმძიმემ თავზე ჩაუზნიქა.

— და იმას იქით რომ სჩანს „ზეკარას“ უძახიან, მეუბნევა ჩემი თანამოგზაური.

ვუცქერი ამ ბუმბერაზ მთებს და ვეძებ მათ შორის მიჯაჭვულ ამირანს.

„კავკასიის მაღალ ქედზედ
მიჯაჭვული ამირანი.
არის მთელი სიქართველო
და მტრები კი ყვავ-ყორანი“.

ვეძებ და ვერ ვპოვე, მხოლოთ პიტალო კლდეზედ დამტვრეული ბორკილები და რკინის პალოები ეყარა. ამირანი ბარად ჩამოსულიყო.

მე რომ კავკასიონის მთებს ვეალერსები, სრულიად დამავიწყდა, რომ ამოვედი ყამურის ტბის სანახავად, არ მოველოდი, რომ ასე ახლოს ბუმბერაზ მთებს ვიხილავდი.

დავიხედე ძირს.

კლდეებში ჩაჭრილიყო ტბა ყამურისა, საიდანაც გამოჩხრიალებს მდ. ქსანი. ყამურს ტბას ეპირება სივრცე ორას დესეტინამდის.

ჩემმა თანამგზავრმა მითხრა:

— ჩვენ ამ ტბას ვეძახით „ყელი-ჩადი“ ესე იგი „ყელის ტბა“.

ამ ტბას სიგძე ორი ვერსი ექნება და სიგანეც—ერთი ვერსი, ჩრდილოეთის მხრივ ორი ვერსის სიგრძით ერთვის პატარა ჩხრიალა წყალი. საიდანაც ეს წყალი გამოდის, სწორეთ იქიდან აღმოსავლეთის მხარეს არაგვის ტოტი იწყობა.

კნოლოს მთიდან და ერმანის ქედიდან გამოდიან დიდი და პატარა ლიახვები, ყამურის ტბიდან კი მდ. ქსანი და მის მიდამოებიდან მდ. არაგვი.

ესე იგი ერმანის ქედი, კნოლოს მწვერვალი, ყამურის ტბა და „ნეფის ქალა“—ოთხივე ერთად აღებული არის ბასეინი დიდი და პატარა ლიახვებისა, არაგვის და ქსნის მდინარეებისა.

ანტონ ფურცელაძეს აქვს თავის „თამარ-ღაზნელში“ ყამურის ტბის აღწერა, აი, სხვათა შორის რას ამბობს:

„არის ერთი ტბა—ყამურს ტბას
მას უძახიან,
პიტალოს სალს კლდეზედ ტბა იგი
არის დაგუბებული,
ირგვლივ სალი და პიტალი კლდე
იმას არტყიან
და ნაპირები აქვს ხრიოკი და შემართული“.

ამ ყამურის ტბის იქით კიდევ მოსჩანან ირგვლივ პატარ პატარა ტბები, შიგა და შიგ ზურმუხტოვანი გადაშლილი ველები, სადაც ფარა და ფარა ცხვარი დანავარდობს და ლაღი მეცხვარეები თავის ჩომბახებით განუშორებლივ დასდევენ.

დიდხანს ირგვლივ თვალს არ ვაშორებდი ამ დიდ-ბუნებოვან ასპარეზს, სადაც თვალი მიმიწვდებოდა ხარბად ვეწაფებოდი და ყოველ მის ხევ-ხუვს, ველს და კლდოვანს, თოვლით დაფარულ დელეებს, აფერადებულ ადგილებს სიამოვნებით თვალით ვზომავდი.

შორს მთის მწვერვალზედ ღრუბლები ირევიან, თანდათან ნისლი ძირს ჩამოდის.

— წავიდეთ ჩქარა, მაჩქარებს ჩემი თანამგზავრი,—თორემ ისეთი ნისლი გვისწრებს, რომ ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადავდგამთ: კიდევ ჩვენი იღბალი,—რომ ასეთი მზიანი დღე დაგვიდგა, აქ იშვიათია ამისთანა კარგი დღეები.

მე არ ვჩქარობდი, ვერა ვძღებოდი ცქერით.

— წამოდი, წამოდი, თორემ გვიან იქნება, თანდათან ნისლი გვიახლოვდება.

ჩვენც დავეშვით სოფ. კნოლოსკენ, დაღმართში უფრო ძნელად მეჩვენა ჩამოსვლა.

ჩემმა თანამგზავრმა გზაზედ მიამბო, ოსების თქმულება ყამურის ტბის შესახებ.

„ერთხელ „ყელ-ჩადის“ ნაპირას გუთანი ებათ და ხნავდნენ, კამეჩები გადავარდნენ და თან მთელი გუთნეული ტბაში ჩაითრიეს“.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბაზალეთის ტბაში გამოჩნდა გუთნის იარაღები, უღლები და ტაბიკებიო. აი ამაზედ იტყვიან: ბაზალეთის ტბას და „ყელის ტბას“ ძირი ერთი აქვთო, როგორც ჩვენი ძველები მოგვითხრობენო.

Legatus.

ჯავახეთის ამბავი

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება

IV

იმ ქვეყანაში, სადაც უზარ-მაზარი ტაძარი კუმურდო დღესაც ამაყად ჰმოწმობს რა ძლიერი მრევლი ჰყავდა კუმურდოელ ეპისკოპოზს და რა მძლავრად სცემდა აქ, ჯავახეთში, ქართველთა ცხოვრების მაჯა, აი ამ გოლიათების ქვეყანაში დღეს დაკნინებულმა ქართველობამ, ნახევრად გადაგვარებულმა, გახსნა უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკა. ესე იგი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ (ახალ ქალაქის სარაიონო განყოფილებამ) იმეცადინა, აიღო ნებართვა გუბერნატორისაგან და მკა-

თათვის 30-ს ახალქალაქში აკურთხეს უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, ეს მოხდა ჯავახეთში იმ ახალქალაქში, სადაც მე-IX საუკ. სცხოვრობდა ბერმონაზონი გიორგი წმინდანებში ჩარიცხული, რომელსაც 80 მოწაფე ჰყავდა და აქ ითარგმნებოდა საღმთო წერილი ბერძნულიდან ქართულად, აქ ის წმ. გიორგი მოგვაწეობდა, რომელიც ერთს ღამეს შუაღამისას ძილიდან აღშფოთებული წარმოხტა და დააღვიძა მოწაფენი თვისნი: „აღსდგით და ილტვოდეთ, რამეთუ რისხვა ღვთისა დაეტყდეს ამა ადგილსა წმიდის“. მართლაც და ჯერ ცხრა წყაროს ფერდობზე არც კი იყვნენ ასულნი, რომ გამძვინვარებული ალპ-არსლანი თავის თურქ-სელჯუკებით შემოიჭრა და იმდენი ქართველობა გაჟლიტა, რომ თვით ჯავახეთის მტკვარი სისხლით შეღებილი მეორე დღემდე წითლად მოდიოდა. დიახ, გაიარა მას აქეთ დრომ და ჟამმა, დავით აღმაშენებელმა კვლავ აღადგინა მთლად გაპარტახებულ საქართველოს დიდება და უკვე მზე-მზარეული გადასცა ღირსეულ მომავლებს, რომელთა შორის თამარის მეფობა დღესაც კი ბრწყინავს.—მაგრამ...

თურქი სელჯუკები შესცვალეს მონგოლებმა, მონგოლები თურქმა-ოსმანებმა (ოსმანებმა), „მჯობს მჯობი არ დაელევაო“, სწორეთ ამათ გამოიდეს თავი და აღარ ვიცით ვინ ვის აჯობა ყოველივე კულტურის დანგრევაში, ადამიანურ ცხოვრების გაველურებაში!

დიაღ, სპარსთა და თურქთა სამი საუკუნე ანგრიეს, არბიეს, ხოცეს, ჟლიტეს, და აი ამ გაპარტახებულ ქვეყანაში, ჯავახეთში, მაინც კიდევ გადარჩა იმდენი ქართველობა, რომ საქველმოქმედო საზოგადოებამ აქ საპიროდ დაინახა საკულტურო კერის ჩადგმა. აი, ამ ცენტრის პატარა ცეცხლის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ქართველთა (განურჩევლად რჯულისა) სულის კვეთება, ძლიერება.

ფიზიკური კანონით ყოველივე შუქი-სინათლე ყოველ-მხრივ ერთგვარად ანათებს და ეს პატარა სამკითხველო უსასყიდლოდ აძლევს ხალხს ჭკუის საზრდოს განურჩევლად რჯულისა და ეროვნებისა. სწორედ ამ მოსაზრებით გამგეობამ გამოიწერა ჟურნალ-გაზეთები ქართული, რუსული, სომხური, თათრული და ბერძნული.

კურთხევის დღეს მოწვეულნი იყვნენ ყველა სარწმუნოების სასულიერო პირნი (წოდება), ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე განყოფილების წევრნი. კურთხევას საკმაოდ დაესწრნენ თუმცა ამ იშვიათ დღესასწაულს მეტი ქართველობა უნდა დასწრებოდა. მეტი გონებრივი სიფხიზლე იყო საჭირო, ვინაიდგან ერთსა და იმავე მოვლენას ცხოვრებაში ყოველთვის და ყოველგან ერთი და იგივე მნიშვნელობა როდი აქვს. მაგალითად, სასწაულად არ ჩაითვლება საქართველოს სადმე შუაგულ ადგილას ქართული ბიბლიოთეკა ანუ სკოლა გაიხსნას და აქ კი მთელის ჩვენის სულის ძლიერებით უნდა მივეგებოთ ამხვარ სასახელო და სასიქადულო, საშვილიშვილო საქმეს.

კურთხევის დროს მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ბლაღოჩინმა ალ. ზედგინიძემ (სამკითხველოს გამგემ და პასუხის მგებელმა პირმა), ხოლო ილ. ალხაზიშვილმა (განყოფილების მოლარემ) მოკლე სიტყვით გააცნო დამსწრე საზოგადოებას განყოფილების მოღვაწეობა. ამ დროს საპატიო სტუმარმა ოლანეს მერგელოვმა პირველმა აღნიშნა თავისი წრფელი თანაგრძნობა ამ კეთილ საქმისადმი.

ამ პატარა ღვიმელის გასაძლიერებლად სამკითხველოს შემოსწირა 25 მან. რი' შემდეგაც ყველამ გულუხვობა გამოიჩინა და ოც თუმანზე მეტი შესდგა.

აი შემომწირველთა სია:

არქიმანდრიტი ერვანდი, პოლკოვნიკი კალინინი, ოლანეს გრიგორიანცი, ივ. დ. ქანანოვი, ალ. დ. ქანანოვი, ლომანბეგი ფალავანდოვი, მარიამ ალხაზიშვილი, არუთინ სალ. ლუკასიანცი და ილ. ალხაზიშვილი ათ-ათი მანეთი; ოლანეს მერგელოვი 25 მან., ოლანეს საათჩევი 25 მან., მამედ ალიბეგი ფალავანდოვი 25 მან., არჩილ ალხაზიშვილი 9 მან., ანნა ნ. ჭაბუკიანი ანნა გ. ქვანია, ოლღა ზედგინიძე, საგენტი ნადირაძე, ალექსი ს. მიქელაძე, სეროფ ოვაკიმოვი, ჯალალ ტერგრიგორიანცი და ვასილ მიხ. ლაფიაშვილი ხუთ-ხუთი მანეთი; ოლღა ჯანდიერი, ნაზ. ნაკაშიძე, ალ. გვათუა, ალ. მეფისწვერიძე და ალ. კიადიკოვი—სამ-სამი მანეთი; ქეთევან ზედგინიძე 1 მან. ბავშვებმა: თამარა ჭაბუკიანი, ნინო ალხაზიშვილი, სანდრო ჯვანია, შალვა ჭაბუკიანი ათ-ათი შაური. სულ 232 მან.

V

ბოლოს და ბოლოს განყოფილების გამგეობას აზრად აქვს ერთი სამკვიდრო საქმეც. აუცილებელ საჭიროებად აღმოჩნდა ქართველთა სოფლებში ჭიხარულა-ბალანთაში გაიხსნას სკოლა და დაენიშნოს ამ ორ სოფელს საკუთრათ მღვდელი. ეს ორი სოფელი სრულს სიბნელეში იმყოფება, მიწერილნი არიან ბარალეთის სამრევლოზე—სკოლისათვისაც იქ უნდა იარონ და მღვდელიც იქიდან უნდა იგულისხმონ. ამ გვარად სრულიად მოკლებულნი არიან ქრისტიანულ ნუგეშსაც და ანბანის ცოდნასაც.—ჰო და ასეა. „შინ რო ობლებს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო“.

მართალია დღეს მეტად ბევრი სამუშაო აქვსთ ჩვენს მოღვაწეებს—მთელი საქართველო კვლავ გაერთდა ტერრიტორიულად და ეტნოგრაფიულად, მეტადრე აჭარა ჰანეთში დიდს საკულტურო მოღვაწეობას მოითხოვს ჩვევნგან, მაგრამ ჯავახელთა წინაპარებს იმოდენი ამაგი მიუძღვით საქართველოს წინაშე, რომ „ხელის გულზე ერბო კვერცხიც რო მოვიწვათ, მაინც მათს ამაგს ვერ გადავიხდით“, დიაღ, ბატონებო, ასე გახლავსთ საქმის ნამდვილი ვითარება. ჰო და საცაა ასი წლიწადი შესრულდება რაც რო მესხეთი და ჯავახეთი კვლავ შეუერთდა დანარჩენ საქართველოს და აბა დამისახელეთ რა გვიზრუნია ამ ტანჯულწამებულ ქართველებისთვის. როგორ არა სთქვას კაცმა, როგორ არ უნდა უსაყვედუროს ჩვენს ინტელიგენციას, სამშობლოს კულტურის მოჭირნახულეთ. ზოგმა არც კი იცის, რომ აქ კიდევ სცხოვრობს ქართველობა. არა ბატონებო, „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.—რამდენჯერ მომხდარა, რომ სახალხოდ რაიმე შემთხვევის გამო (აკაკის იუბილეი, ილ. ჭავჭავაძის და აკაკის გარდაცვალება და სხვ.) წიგნაკები გამოუციათ ხალხში უფასოდ დასარიგებლად, მაგრამ ჩვენი ჯავახეთი, სათვალავში არც კი მიუღიათ. სასიხარულო თუ სამგლოვიარო ტელეგრამებს ზოგჯერ არც კი გვიბეჭდავენ, ჩვენი დელეგატის ადრესი (ჯავახელებისა) აკაკის იუბილეიზე მირთმეული არც კი სადმე დაბეჭდეს და სხვა და სხვა მრავალი წვრილმანი თუ სხვილმანი.

აი, ბატონებო, ახლა ხო გაქვთ შემთხვევა გაასწოროთ თქვენი შეცდომა, მოინანიოთ ცოდვანი ნებსითი თუ უნებლიეთნი. გთხოვთ უმორჩილესად ყველა შეგნებულ ქართველს დაეხმაროთ რითიც კი შეგიძლიათ ჩვენ მიერ ახლად დაარსებულ უფასო სამკითხველოს—წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით.

დეე თუნდ წაკითხულიც იყოს, რომელიც ტყულა გდია თქვენს თაროზე და მტვერი და ჩრჩილი ანადგურებს. დიაღ, ბატონო, მგონი დროა დავფარცურდეთ, გვეყო ამდენი ხნის ძილი, მთელი ოთხმოცი წელიწადი გვეძინა!.. სიმხნე, სიფხიზლე თორემ მსოფლიოს წარღვნა-ნიაღვარი წაგვლეკავს, თავზე ნაცარს დაგვაყრის. ჰო და ასე. სამკალი ბევრია და ყველგანაც უნდა გავწვდეთ. გამჭრიახობა, ენერგია ახლა გვმართებს, თუ კი მუშაკნი სადმე გვყვანან, მაშ რაღა დღისთვის! აი ახლაა საქართველოს მამითადი გაჩაღებული და ყველასაც გვავალებს სამშობლოს ინტერესისთვის, მისი კულტურის აღსაყვავებლად ჩვენი სულიერი და ნივთიერი ძალ-ღონე მსხვერპლად შევწიროთ. დიაღ, ან დღეს ან არასოდეს!..

ხოლო, რაც შეეხება კერძოთ ჯავახელ ქართველებს ამათში თვითცნობიერება, ქართული სული და სამშობლოს სიყვარული ძრიელ განვითარებულია. საკმაოა თუნდ ის მაგალითი დავასახელოთ, რომ მოძრაობის დროს (1905 წ.) **ავტოკეფალია მოითხოვეს** აქედან, თხოვნა წამოვიდა სამასი კაცისაგან ხელმოწერილი. აღსდგეს ივერიის ეკლესია სრულის თავის ბრწყინვალებითო. ჯავახელებს იმედი აქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებს და კუმურდოში კვლავ აღდგენილი იქნება კათედრა კუმურდოელ ეპისკოპოზისა სრულიად ჯავახეთის და კოლა-არტაანის-ერუშეთის მაკურთხეველისა.

მაშ გამარჯვებული იყავით საქართველოს მამითადის მეთაურნო, მესვეურნო და ნურც ჯავახლებს დაგვივიწყებთ...

ილ. ალხაზიშვილი.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვთ ეს წერილი და მეტადრე შემომწირველთა სია სხვა გაზეთებმაც—რუსულმა, ქართულმა, თათრულმა და სომხურმა გადაბეჭდონ. წერილი რასაკვირველია მოკლედ, სია კი სრულად.

ხოლო რაც შეეხება შემოწირულებას ფულად იქნება იგი თუ წიგნებად, ჟურნალ-გაზეთებად, გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი ადრესით: Г. Ахалкалаки, Грузинскому Благотворительному Обществу—прдсѣдателю Мамедъ Али Беку Палавандову.

ი. ალხ.

წერილი სამეგრელოდან

დამშეულთა მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში აუწერელია. როგორც ჩვენ ამას წინად ვწერდით, ხალხი განიცდის უსაშინელეს წუთებს, დახმარება კი კვლავ არსაიდან სჩანს...

გვპირდებიან-აი დღეს, აი ხვალეო, მაგრამ დღე დღეს მისდევს, ღამე ღამესა და ჩვენ კი სიმშილით ვიხოცებით...

ამ დღეებში ერთმა კერძო ვაჭარმა დ. ზუგდიდში ჩამოიტანა ათასი ფუთი სიმინდი, რომელსაც დამშეული ხალხი ბუზივით დაეხვია და ვინც მოასწრო თითო და ნახევარ ფუთობით დაიტაცა ორ-ორ მანათად და მეტად.—ჩამოიტანა ათასი მეორემ—ისიც ერთ საათში აღარ დარჩენილა, ერთი მეორეს ხელიდან სტაცებდნენ ახლო-მახლო მცხოვრებნი.—შორეულნი კი, რომელთაც უფრო გვიან გაეგოთ ამბავი, აყრილი იყვნენ ურმებით, ტომრებით და აუარებელი კაცი და ქალი ჩამოსულიყო ზუგდიდში, მაგრამ იმედ გაცრუებულნი წყევლა კრულვით ბრუნდებოდნენ თითო ორ-ორი გირვანქა პურით ხელში ბავშვებისთვის.

თუ ვაჭრები და კერძო პირები კი ახერხებენ თავის ჯიბის გასასქელებლად ათასი ფუთობით სიმინდის ჩამოტანას, ნუ თუ დასაჯერებელია, ჩვენი მთავრობის რწმუნება, რომ იგი ყოველსა ღონესა და საშუალებას ხმარობს, რათა დამშეულ ხალხს პური მიაწოდოს, მაგრამ ვერაფერს გახდა?!.

დავიჯეროთ, რომ მთავრობამ და მისმა კონტრაგენტმა ვერ მოახერხეს ვაგონების გამოწერა სიმინდის ჩამოსატანად და კერძო ვაჭრებმა კი მოახერხეს?!

იძულებული ვართ დავიჯეროთ ხალხში გავრცელებული ხმა, რომ თვით მთავრობის კონტრაგენტები, ის კონტრაგენტები, რომელთაც უნდა ჩამოეტანათ სიმინდი დამშეული ხალხისთვინ დასარიგებლად, ჰყიდიან ამ სიმინდს კერძო პირებზე, ჩარჩ-ვაჭრებზე, რასაკვირველია, უფრო ძვირად იმ ფასზე, რა ფასადაც ხალხისთვინ უნდა ჩამოეტანათ...

ზრუნავს ყველა თავის ჯიბისთვინ, ხოლო ხალხისთვინ კი არავინ...

საჭიროა უმაღლესმა მთავრობამ მიაქციოს ყურადღება და მიიღოს დაუყონებლივი ზომები, თორემ ვიღუპებით!

ავი.

დაბა-სოფლები

ს. ხიდისთავი. კვირას, მარიამობისთვის 7-ს ს. ხიდისთავშიც თავი იჩინა იმ საზიზღარმა და მიზანშეუწონელმა საქციელმა, რომელიც თითქმის მთელ იმპერიაში ვაჭართა დარბევის სახით გამოაშკარავდა. მართალია ს. ხიდისთავში განზრახვა სავსებით ვერ განხორციელდა, მაგრამ თვით ცდაც ბევრი რამ სიცუდის მომასწავებელია; და თუ ამ დღეს ვაჭრები გადარჩნენ, ეს ისევ და ისევ მოწინავე პირთა ბეჯითობას უნდა მიეწეროს. სწორედ შუა დღე იქმნებოდა, რომ თავი მოიყარეს. ქალები ჰყვიროდნენ, ვაჭრებმა ნიხრი გადალახეს, ძალიან მომატებით ჰყიდიან, საჭირო საქონელი გადამალეს და ძაძად სახმარი ნაჭრებიც კი აღარ იყიდებაო. ყოველივე ამის გამო მოწინავე პირებმა მიაღწიეს იმას, რომ მოიწვიეს ნიხრის შემდგენი კომისია, თავი მოუყარეს ყოველგვარ საჭიროების ვაჭრებს, თვით ქალებს ამოარჩევინეს სამი წარმომადგენელი და იმ წამსვე სკოლის დარბაზში გამართეს მოლაპარაკება. მოლაპარაკების საგანს ოთხი უმთავრესი მუხლი შეადგენდა: 1) მანუფაქტურულ საქონლის მიწოდება, 2) სიმინდის საქმის მოგვარება, 3) ფეხთსაცმელების შესახებ და 4) საწვრილმანო საქონელის შესახებ. მართლაც წარმოუდგენელია ისეთი ბეჯითობა, რომელიც ამ მოწინავე პირთ გამოიჩინეს. ისე სწრაფად, ისე ერთგულობით მოქმედება მოსაწონი იყო მით უფრო, რომ თვით ამხედრებულთ გული აღელვებისაგან ხელად დაუცხრათ და თანხმობა სიხარულით გამოაცხადეს... აი რა დაადგინეს: 1) დაიაროს თვით ქალებისაგან და მოწინავე პირთაგან შემდგარმა კომისიამ, სხვა და სხვა ანგარიშების მიხედვით ყოველგვარ საქონელს ნიხრი ზედ დააწეროს და გაიყიდოს ისე, რომ გამყიდავმა მყიდველს ყოველგვარი ნასყიდობის ქაღალდი მისცეს (ეს განცხადება თვით ვაჭრებმა შეიტანეს); 2) სიმინდის ყოველკვირეულად დარიგება იკისროს კოოპერატიულმა დუქანმა; სხვა ვაჭრებს კი სიმინდის ყიდვა-გაყიდვის უფლება ჩამოერთვათ; 3) კომისია ეცდება გაიგოს ტყავის ნამდვილი ფასი და ნიხრიც ძალიან შესაფერისად დაადოს და 4) თუ ვაჭრები სანოვაგეს პირველ საჭიროებისას გაჰყიდიან ისე, როგორც კოოპერატივი ჰყიდის, ხომ კარგი, თუ არა და მათ ვაჭრობის ნება არ მიეცემათ...

როგორც მოგახსენეთ, ყოველივე ეს პატივსადებია, მაგრამ ცოტაოდენი შეცდომა იპარება მეოთხე მუხლში. მართლაც და როგორ შეიძლება მოთხოვა იმისა, რომ ვაჭრებმა ისე ჰყიდონ, როგორც კოოპერატიულ დუქანმა. ამით ვაჭრების ქომაგობა სრულიადაც არ მინდა, მაგრამ, აბა დავფიქრდეთ, თუ კოოპერატივს კონკურენცია არა აქვს, თუ სხვა ვაჭრების მოქცევისაგან მისი მოქმედება არ განირჩევა, მაშინ რაღა ყოფილა მისი დანიშნულება, და ან ვიღა ჩაეწერება მის წევრად?!. აი ეს გარემოება უფრო ვრცლად უნდა გადაისინჯოს და, იმ სიმპატიურ პირთა კეთილ მოქმედებას, უფრო მეტი ღირებულება ექმნება.

მიშო.

თეატრი

სოფ. სვირი.

კვირას 7 მარიამობისთვეს სოფელ სვირში გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს პიესა „ქოხში“ დრ. 5 მოქ. ივ. გომართლისა და „გამოგონება“ ვოდევ. 1 მოქმედ. ბერიძისა.

სოფელ სვირის სცენის მოყვარეებს შეუქმნიათ დეკორაციები და რაც კი ღარიბულ სოფლის სცენას შეჰფერის, კარგათ იყო მოწყობილი.

კარგად თამაშობდა ქ-ნი ელენა ჩიხლაძე (ნადია). კარგათ ასრულებდა თავის როლს ქ-ნი სონა ჯულელი (ნადიას დედა). ბ-ნმა ტრიფო ბუილიშვილმა (საჩინო (გულიაშვილი) თითქმის თამაშში ყველას გადააჭარბა.

ამ პიესის შემოსავალი (რამდენი არ ვიცი) ხარჯებს გარდა, გადაიდვა ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ.

ეხლა სვირის სცენის მოყვარეები ემზადებიან, რომ 15 ამ თვისთვის დადგან პიესა „სოფლის გმირები“ დრ. 4 მოქმედებათ ირეთელისა და ვ. ბალანჩივაძის ვოდევილი „კუდიანი ვარსკვლავი“.

ლადო ობჩელი.

—

სოხუმი.

შაბათს, 6 მარიამობისთვეს, თეატრ „ალოიზ“-ში დღით გაიმართა სალიტერატურო დილა. მ. წულუკიძემ ქართულ ენაზე ლექცია წაიკითხა-თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე. ლექტორი შეეხო ჩვენს ახალგაზრდა მგოსნებ-მწერლებს და სათითაოდ გაარჩია მათი ნაწერები, მიგვითითა თუ ვინ ვის უმღერის და ვის ემსახურება მათი ჰანგები. განსაკუთრებული ყურადღება თავის ლექციაში მიაქციაში აბაშელს და გრიშაშვილს. ლექციის შემდეგ ლექსები წაიკითხეს: ნოე ქურიძემ. მ. წულუკიძემ, ჟვანიამ, პრ. ასკ—მა და ლოლუას პატარა ბავშმა. ლოლუას ბავშვის წაკითხულმა ლექსმა „მამულო საყვარელო შენ როსღა აყვავდები“—ხალხი აღფრთოვანებაში მოიყვანა. უნდა ყოფილიყო აგრეთვე ძუკუ ლოლუას ხორო, მაგრამ სამწუხაროდ, რაღაც მიზეზების გამო აღარ შესდგა.

— სოხუმიდან ზუგდიდამდე დილიჟანებით მგზავრობა პირდაპირ ჯოჯოხეთია; ერთი კვირით ადრე უნდა აიღო ბილეთი, რომ წასვლას ეღირსო. არავითარი ზრდილობიანი მოქცევა მედილიჟნეთაგან მგზავრებისადმი არ არსებობს. რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასცდე იმ უსიამოვნებას, რომელიც მოსალოდნელია ძმ. ჯანჯღავების კანტორაში. მეტი ზრდილობა და პატივით მოპყრობა მგზავრებისადმი!

შემოწირულება

რედაქციამ მიიღო ი. **ხუნაშვილისაგან** ამხანაგებში შეგროვილი 5 მანეთი გარდასაცემად ქართველ მეომართა ასაგებ ძეგლის კომისიისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33 საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27 დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13 საღ.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58 „ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52 დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48 საღ.
თელავიდან		№ 3, . 7 „	58 „ საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს ხაძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 **ოტდ. 3.** მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მექავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, **Тхинвальская ул. № 12 отд. 3.**

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ

ცნობის კონტორას

ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

უშამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

◆ **ხელმისაწვდენ ფასებში** ◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ **И. Т.** Гватуа, **Справочная контора.**

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

„სორაპანის“ გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

ქართველი მწერლები

ნაწილი პირველი. ფასი 1 მანეთი.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებელში ამ წიგნის ხმარება ნება დართულია.

იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი

ქართველი მწერლები

ნაწილი მეორე. ფასი 1 მ. 50 კაპ.

პარტიით მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ თბილისში, წერა-კითხვის მაღაზიას და გამომცემელს. სტამბა „სორაპანი“ **მ. გაჩეჩილაძეს.**

(10-295-5)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Тифлисъ** почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзв.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**დ. მაილოვის-შვილთ,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**ჩემ-შოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, **ფორგა და** ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები **რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.**

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

[illegible] „ცხოვრება“ [illegible], [illegible] შესახვევი № 4.